№ 2649
კვირა.
24 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2649
კვირა
24 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი: წელიწადში—8 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად

ახალი მოძღვრება

დრამა 4 მოქ. 7 სურ., ბარეტისა თარგ. კანდელაკის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ან. აბაშიძე, ა. კარგარეთელი, ნატ. მესხი, ნ. ჩხეიძე, ნ. ჯავახიშვილი, ნებიერიძე; ბ-ნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, გედევანოვი, ივანიძე, იმედაშვილი, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, მალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, იორდანიშვილი და სხვანი.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დირექცია ამხანაგობისა

მზადდება წარმოსადგენად: „იულიოს კეისარი", „ღალატი" და სხვ. (8—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

კვირას, 24 ოქტომბერს 1904 წელს

წარმოდგენილი იქნება „ვერტერი" ოპერა 4 მოქ., მუს. მასსენესი,

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდი, პეტროვა-ზვანცევა, ხასლავსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, კოპიროვი, გალეცკი, ხალინსკი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

25 ოქტ.—იაფ-ფასიანი წარმ.—„ტრავიატა". გამგე ი. ა. კელლერი.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
შ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშ- კის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნე- ტელეფონი № 679. (0—177)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ექიმები:

ა. ი. ბაზარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

ვ. ტ. ეშლინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 9—11 საათ.

ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ლ. ი, კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი ე. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გ. ა. ბიცირი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. ვ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ბრ. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. საათამდე.

საღამოთი:

ი. ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საა[illegible] აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში [illegible] მორიგებით. [illegible] დღეში დღის 10 მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის [illegible] სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible] ქუჩიდან 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ბაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—2)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 18. საკუთ. სახ., ტელ. 797

ექიმი
კ. ნ. თოთრაძე

მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქვენაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—18)

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154.
ტელეფონი № 825. (90—296—20)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე პოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—9)

კბილის ექიმი
ილ. რომანიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქ., № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—ნ.—19)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
22 ოქტომბერი

ლონდონი, 21 ოქტომბერი („რეიტერი"). მიწათ მოქმედების მინისტრმა გილდფორდში სიტყვა წარმოსთქვა ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ინციდენტის გამო და გამოაცხადა, თუმცა რუსეთისა და ინგლისის შუა ურთიერთობა ისე გამწვავებული არ არის, მაგრამ მაინც ნურავინ იფიქრებს, ვითომ ყველა უთანხმოება მოსპობილიყოს. ინდოეთის საქმეთა მინისტრმა სთქვა: თუმცა პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ საბოლოოდ არ გამქრალა შეწუხების მიზეზი. მაინც იმედია, თუ ორივე მხარე მოინდომებს, ინგლისის კანონიერი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება და რუსების ეროვნული გრძნობაც არ შეილახება. მინისტრმა დაუმატა, მთავრობამ კარგად იცოდა, რა თვალით უყურებდნენ საქმეს ინგლისელები და რა ღონისძიება უნდა მიეღო, რომ ჩვენი ეროვნული გრძნობა ხელ შეუხებელი დარჩენილიყო ასეთ თითქმის უმაგალითო გამწვავებულ მდგომარეობის დროს.

პარიზი, 21 ოქტომბერი („ჰავასის სააგენტო"). ლიბავიდან გასულ რვა ნაღმიან გემიდან ერთი გემი დანიის ზღვაში დაზიანდა და ბუქსირით ისევ ლიბავაში წაიყვანეს.

პორტ-საიდი, 22 ოქტომბერი („რეიტერი"). პორტუგალიის კანონირი გემი იუწყება, რომ 17 ოქტომბერს ღამით სიცილიის სამხრეთით რამდენიმე რუსის ნაღმიანი გემი ვნახეო.

ლონდონი, 22 ოქტომბერი („რეიტერი"). არმიაში გამოცხადებულ ბძანებაში ნათქვამია, რომ ამას იქით ყოველ წელს 4 აფიცერი, ჩინით კაპიტანზე არა უმაღლესი, ორ-ორის წლით იაპონიაში გაიგზავნებაო.

პორტ-არტური, 22 ოქტომბერი („რეიტერი"). პორტ-არტურთან იაპონიის ჯარში მყოფი კორესპონდენტი, იაპონიის ცენზურის ნება-რთვით, დაწვრილებით აღწერს ალყის ისტორიას, რომლის შესახებაც ცოტა რამის გაგება ჩინელთა და გამოხიზნულთა ცნობებიდანაც შეიძლებოდა. ამ ცნობებიდანვე სჩანდა, რომ ციხე ძლიერ იყო გამაგრებული, ხოლო ეხლა ნათლად გამოირკვა, რა ძნელი საქმე იტვირთეს იაპონელებმა. აღნიშნულ კორესპონდენტს აწერილი აქვს, იაპონელები მთელის დღეობითა და კვირაობით როგორ სცდილობდნენ რუსის პოზიციებისა და სიმაგრეების აღებას და ხშირად როგორ უნაყოფოდ რჩებოდა ეს ცდა. მაგრამ იაპონელები არ ერიდებოდნენ ზარალს და ხელ ახლად თავგამოდებით მიდიოდნენ წინ. წარმატებასთან შედარებით ზარალი დიდი მოსდიოდათ. ერთ კვირაში, 6-დან 11 მაისამდე, მათ დაჰკარგეს 14,000 კაცამდე. განუწყვეტელი და ცხარე შტურმები იმით თავდებოდა, რომ რუსები ყოველთვის იგერიებდნენ მტერს ერთ პოლკში, რომელიც 2500 კაცისაგან შესდგებოდა, დარჩა 206 კაცი. ივნისიდან სექტემბრამდე იაპონიის ჯარში 16,000 კაცი გახდა ავად ბერი-ბერით. მიზეზად სთვლიან შეხურეშულ ბრინჯს.

შანხაი, 22 ოქტომბერი („რეიტერი"). ინგლისელთა გემმა „ვიქტორია"-მ, რომელსაც ხორცი მიჰქონდა, გაარღვია იაპონელთა წრე და შევიდა პორტ-არტურში.

როგორც ისმის, იაპონელებს აუღიათ ყველა უმთავრესი პოზიციები ციხის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხარეს.

ალჟირი, 22 ოქტომბერი („ჰავასი"). კონტრ-ნაღმიანი გემები „ბლესტიაშჩი" და „ბეზუპრეჩნი" ხელ-ახლა გავიდნენ ზღვაში.

ლონდონი, 22 ოქტომბერი („რეიტერი"). გარეშე საქმეთა სამინისტრომ ერთ ფირმას, რომელიც შეეკითხა სამინისტროს, შეუთვალა, ნებას არ ვაძლევთ გემის პატრონთ, ნახშირით დატვირთული გემები გააყოლონ რუსის ესკადრასაო.

23 ოქტომბერი

პარიზი, 22 ოქტომბერი („ჰავასი"). როგორც ლონდონიდან იუწყებიან, რუსეთი და ინგლისი შეთანხმებულან იმის შესახებ, თუ ვინ იქნებიან წევრებად სამედიატორო კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს გულის ინციდენტი. შეუმუშავებიათ აგრეთვე კომისიის მოქმედების გეგმა. კომისიის სხდომები პარიზში მოხდება.

პარიზი, 22 ოქტომბერი (ბერლინში მიღებული ამბავი). აქ დროებით მყოფმა საფრანგეთის ელჩმა განუცხადა „გოლუას" თანამშრომელს, რომ ომის შედეგი საეჭვო არ არის: რუსები გაიმარჯვებენო, ელჩის აზრით, იაპონელები ძლიერ დასუსტდნენ; ფულიც შემოაკლდათ. „მე ვეკითხები ჩემს თავს,—სთქვა დასასრულ ელჩმა,—სად უნდა იშოვნონ იაპონელებმა ფული, რომ ერთ წელიწადს კიდევ გაუძლონ ომსაო".

მოსკოვი, 22 ოქტომბერი. მოვიდა ბრძოლის ველიდან 144 დაჭრილი მეომარი. იმათთან ერთად მოვიდა კაპიტანი საინჩენკო, ფეხში დაჭრილი ვაფანგოუს ღელეტეხილზე. დაჭრილთა შორის ბევრსა აქვს გიორგის ჯვარი.

ლონდონი, („რეიტერი"). ლონდონის სავაჭრო პალატამ მინისტრ ლანსდოუნისაგან მოწერილობა მიიღო სამხედრო კონტრაბანდის შესახებ. მოწერილობაში ნათქვამია, ინგლისის მთავრობამ მისწერა რუსეთის მთავრობას, რომ ქვანახშირი და ბამბა სამხედრო კონტრაბანდად არ ჩაითვლებაო. ამის შემდეგ რუსის გემების უფროსებს დამატებითი ინსტრუქცია გაეგზავნათ, რომ ამას იქით ისე სასტიკათ აღარ მოიხმარონ მეომარ სახელმწიფოს უფლებაო. ლანსდოუნი უმატებს, თუმცა დაწვრილებით გამოვიძიეთ, მაგრამ ინგლისის მთავრობამ მაინც ვერ აღმოაჩინა იმის საბუთი, ვითომ რუსის მოხელეები, როგორც არა ერთხელ უთქვამთ, გერმანიის გემებს მფარველობას უწევდნენ ინგლისის გემების საზარალოდ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
22 ოქტომბერი.

ჩიფუ, 22 ოქტომბერი. თუმცა იაპონელებმა ყოველის მხრიდან იერიში მიიტანეს, ლიაოტეშანი მაინც ჯერ კიდევ მიუდგომელია. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, რუსთა ზარალი უმნიშვნელოა.

ტანჟერი, 22 ოქტომბერი. კრეისერი „ჟემჩუგი", „ალმაზი", „სვეტლანა" და „დმიტრი დონსკოი" ზღვაში გავიდნენ და კრიტისკენ გაემართნენ. ადმირალი როჟესტვენსკი დღეს ნაშუადღევს მოვიდა და რუსის საელჩოს მდივანსა და დრაგომანთან ერთად ეტლით სულთანის მინისტრის სასახლეში წავიდა.

ბერლინი, 22 ოქტომბერი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე იუწყება მუკდენიდან: რუსები თავიანთ პოზიციებს მდინარე შახესთან დღითი-დღე ამაგრებენ, რუსებს საფუძველი არა აქვთ წინ წავიდნენ და ხელახლა გაილაშქრონ. რუსის მთავარ სადგომში ბევრის აზრით, დიდი ბრძოლა მხოლოდ ვაზაფხულზე მოხდება. ამის გამო ესპანიის სამხედრო აგენტები უკვე დაბრუნდნენ ევროპაში. მაგალითს სხვა ოცხო ქვეყნელი აგენტებიც მიჰბაძვენ. რაც შეეხება იაპონიის წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, ვითომ ოიამას მაშველი ჯარი მოსვლოდეს, გედკეს აზრით, იაპონელებს ამ ხმებით უნდათ მხოლოდ შეცდომაში შეიყვანონ რუსები.

მუკდენი, 22 ოქტომბერი. ამ დღეს, როგორც ეტყობა, წყნარად ჩაიარა; არ ისმის ზარბაზნების სროლის ხმა. მუკდენში ცხოვრება ჩვეულებრივ კვალს არ გადასცდენია.

23 ოქტომბერი

პარიზი, 22 ოქტომბერი. ტანჟერიდან იუწყებიან, რომ ადმირალი როჟესტვენსკი სადარბაზოდ იყო საფრანგეთის კრეისერის „კლებერის" უფროსთანაო. რუსის კრეისერი მთელ ღამეს სრუტეს პროჟექტორებით ანათებდა. რუსის სამი კრეისერი დღეს დილით ალჟირიდან ზღვაში გავიდა.

ტანჟერი, 22 ოქტომბერი. რუსის ესკადრა წასასვლელად ემზადება და წავა უთუოდ ამაღამ.

ჩიფუ, 22 ოქტომბერი. 21 ოქტომბერს დალნიდან მოვიდა ნავი ნავზე მყოფთ სთქვეს, იაპონელებმა ჯერ ყუმბარები დაუშინეს პორტ-არტურს და მერე იერიში მიიტანესო. მოწინავე პოზიციები ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა. იაპონელები ყუმბარებს ისროდნენ 20 ოქტომბერს. სროლა შესწყდა 20 ოქტომბერს, ღამის ორ საათზე. 21 ოქტომბერს დილიდან იაპონელებმა ხელ-ახლა დაუშინეს ციხეს. იაპონელებმა აიღეს გარეთა სიმაგრეები და რამდენიმე ფორტი. შტურმით ვერც ერთ ფორტის აღება ვერ შესძლეს. რუსები სროლას იწყებდნენ იმ დროს, როდესაც იაპონელები ზარბაზნებს სდგამდნენ ახალ პოზიციებზე. იაპონელებს გული გაუტყდათ. ვინც წინ არ მიდიოდა, იმათ აფიცრები ესროდნენ.

ალჟირი, 23 ოქტომბერი. ტრანსპორტი „კიტაი" და რუსის შვიდი ნაღმიანი გემი ნავთსადგურიდან გავიდნენ და აღმოსავლეთისკენ გაემართნენ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ჯარი შორეულ აღმოსავლეთში. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი დაწვრილებით აწერს, რამდენი ჯარი ჰყავს ამ ჟამად გენ. კუროპატკინს შორეულ აღმოსავლეთში. მიმომხილველი სწერს: „ადმირალ ალექსეევის ნაცვლად, გენ. კუროპატკინი დაინიშნა მთავარ-სარდლად და მთელი რუსის ჯარი ორ არმიად გაიყო. მოსალოდნელია, რომ ეს ცვლილება გავლენას იქონიებს სამხედრო მოქმედების ვითარებაზე, ამიტომ ეხლა უფრო საინტერესოა, ვიცოდეთ რამდენი ჯარი ჰყავთ რუსებს შორეულ-აღმოსავლეთში. უცხოეთის გაზეთებმა დიდი ხანია დაწვრილებით აწერეს გენ კუროპატკინის ჯარი, რუსულ გაზეთში-კი ამნაირივე აწერა მხოლოდ ეხლა სექტემბრის შემდეგ გახდა შესაძლებელი, თუმცა აქ არავითარი სამხედრო საიდუმლოება არ იყო, რადგან „რუსკი ინვალიდ"-ში ყველა ცნობა, ბძანებები და მოკლულ და დაჭრილ აფიცრების სია მუდამ იბეჭდება. ამიტომ ჩვენც ავწერეთ რუსის ჯარი, რამდენადაც კი შეიძლებოდა, მხოლოდ ახლად მოწვეულ ჯარის რაზმები არ აგვიწერია. მანჯურიის პირველი და მეორე არმიაც არ გაგვინაწილებია, რადგან პირველი არმია ჯერ მოწყობილი არაა და იმისი უფროსიც ჯერ არ დაუნიშნავთ.

ა. მანჯურიის პირველი და მეორე არმია. ციმბირის პირველი კორპუსი—გენ.-ლეიტ. შტაკელბერგი. აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პირველი დივიზია—გენ.-ლეიტ. გერნგროსი, აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-9 დივიზია გენ. მაიორი კონდრატოვიჩი.

ციმბირის მე-2 კორპუსი.—გენ.-ლეიტ. ზასულიჩი. ციმბირის პირველი ქვეითა დივიზია—გენ.-მაიორი მოროზოვი, აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-5 დივიზია—გენ.-ლეიტ. ალექსეევი.

ციმბირის მე-3 კორპუსი. გენ.-ლეიტ. ივანოვი. აღმოს.-ციმბირის მსროლელთა დივიზია—გენ.-მ. კაშტალინსკი. აღმოს. ციმბირის მსროლელთა მე-6 დივიზია—გენ.-მ. დანილოვი.

ციმბირის მე-4 კორპუსი—გენ. ლეიტ. ზარუბაევი. ციმბირის მე-2 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. ლევესტამი, ციმბირის მე-3 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. კოსოვიჩი.

ციმბირის მე-5 კორპუსი—გენ. ლეიტ. დემბოვსკი. მე-54 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. ორლოვი (ამ ჟამად სხვაა იმის ბადლად დანიშნული), მე-71 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. ეკი.

ციმბირის მე-6 კორპუსი—ინფანტერიის გენერალი სობოლევი. მე-55 ქვეითა დივიზია—გენ. მ იგნატიევი, მე-72 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. ტუგან-ბარანოვსკი.

პირველი საარმიო კორპუსი—კავალერიის გენერალი მეიენდორფი. მე-22 ქვეითა დივიზია—გენ. ლეიტ. აფანასოვიჩი, მე-37 ქვეითა დივიზია—გენ. ლეიტ. ჩეკმარევი.

მე-8 საარმიო კორპუსი—გენ. ლეიტ. მილოვი. მე-14 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. რუსანოვი, მე-15 ქვეითა დივიზია—გენ.-ლეიტ. ივანოვი.

მე-10 საარმიო კორპუსი—გენ. ლეიტ. სლუჩევსკი. მე-9 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. გერშელმანი, მე-31 ქვეითა დივიზია—გენ.-ლეიტ. მაუ.

მე 17 საარმიო კორპუსი—კავალერიის გენერალი ბილდერლინგი. მე-3 ქვეითა დივიზია—გენ.-მ. ინქული, მე-35 ქვეითა დივიზია—გენ.-ლეიტ. დობრჟანსკი.

სულ 10 კორპუსი ჯარია, თითო კორპუსში ორ-ორი დივიზია, თითო დივიზიაში ოთხ-ოთხი პოლკია. დივიზიას თითო ბრიგადა არტილერია ჰყავს, ზოგ დივიზიას ქვეითა მტყორცნელთა როტებიც ჰყავს. ამას გარდა ყოველ კორპუსს თითო საპიორის ბატალიონიცა ჰყავს.

კავალერია დივიზიებადა და ბრიგადებადაა დანაწილებული. შორეულ-აღმოსავლეთში სულ 4 ყაზახთა დივიზიაა, სახელდობრ: ზაბაიკალის ყაზახთა დივიზია გენ.-ლეიტ. რენენკამფი, ციმბირის ყაზახთა დივიზია—გენ.-მ. სამსონოვი, ორენბურგის ყაზახთა დივიზია—გენ.-მ. გრეკოვი, დონის ყაზახთა დივიზია—გენ.-მ. ტელეშევი. ამ დივიზიებში ოთხ-ოთხი ცხენოსანი პოლკია და ზოგში ორ-ორი არტილერიის ბატარეიაა.

ამას გარდა ხარბინის სამხრეთით გენ. კუროპატკინს კიდევ ხუთი ბრიგადა (ორი პოლკი) ცხენოსანი ჯარი ჰყავს: მე-2 კავალერიის ბრიგადა (ჩერნიგოვისა და ნეჟინის დრაგუნთა პოლკები)—გენ.-მ. სტეპანოვი, უსურიის ცხენოსანი ბრიგადა (პრიმორის დრაგუნის პოლკი, ნერჩინის ზაბაიკალის ყაზახთა პოლკი და უსურიის ყაზახთა პოლკი), ზაბაიკალის ყაზახთა ბრიგადა.—გენ.-მ. მიშჩენკო, კავკასიელთა ცხენოსანი ბრიგადა—გენ.-მ. ორბელიანი და ურალის ყაზახთა ბრიგადა. ამ ცხენოსან დივიზიებისა და ბრიგადების გარდა, რუსებს კიდევა ჰყავთ რამდენიმე ცხენოსანი პოლკი.

მანჯურიის არმიის არტილერია მეტ ნაწილად ბრიგადებადაა დანაწილებული (ბრიგადაში 4-დან 8-მდე ბატარეიაა, თითო ბატარეიაში რვა-რვა ზარბაზანია); ქვეითა ჯარის დივიზიას თითო ბრიგადა არტილერია ჰყავს. ამას გარდა გენ. კუროპატკინს საალყე და სამთო არტილერიაცა ჰყავს, სახელდობრ: აღმოსავლეთ-ციმბირის საალყე არტილერიის პოლკი (3 ბატალიონი, ანუ 15 როტა), მე-4 მორტირის (ესეც საალყე ზარბაზნებია) პოლკი (უფროსად პოლკოვნიკი სერგეევია), მე-5 მორტირის პოლკი (პოლკ. სვიატლოვსკი), აღმოსავლეთ-ციმბირის ორი მორტირის ბატარეა და აღმოსავლეთ-ციმბირის რვა სამთო ბატარეია. მძიმე არტილერია, ეტყობა, რეზერვში ჰყავს გენ. კუროპატკინს, სამთო ბატარეიები-კი აღმოსავლეთ რაზმთან მოქმედებდნენ, მანჯურიის რკინის გზის აღმოსავლეთით.

ზემო ხსენებულ საპიორთა 10 ბატალიონის გარდა, მანჯურიის ჯარს კიდევა ჰყავს: აღმოსავლეთ-ციმბირის პონტონის (ხიდების გასადებად) ბატალიონი, აღმოსავლეთ-ციმბირის საინჟენერო პოლკი და აღმოსავლეთ-ციმბირის აერონავტების (ჰაერში მფრინავ ბურთების) ბატალიონი. დასასრულ რუსის ჯარს დიდ დახმარებას უწევდა ზაამურის ოლქის საზღვრის დამცველთა რაზმებიც. საზღვრის დარაჯთა მე-4 ბრიგადა წინად ლიაოიანში იდგა და მას აქეთ, რაც იაპონელებმა ლიაოიანი დაიჭირეს, ეს ბრიგადაც ჯარს მიემატა.

სულ ნოემბერში (მე-8 კორპუსი ეხლა მიდის) რუსებს მანჯურიაში 302 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 180 ესკადრონი, ანუ სოტნა კავალერია და 41 საინჟინერო (საპიორები და სხვა) როტა ეყოლებათ და 1252 ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი ექნებათ (თუ მანამდე დაკარგულ ზარბაზნების მაგივრად ახლებს ჩაიტანენ). გენ. კუროპატკინს ნოემბერში სულ 335 ათასი კაცი ეყოლება (ქარვნის სალდათებიც რომ ვიანგარიშოთ, 400 ათასამდეც ავა). ამდენი ჯარი საკმაო იქნებოდა იაპონელბზე იერიშის მისატანად, რადგან იაპონელებს 308 ათას კაცზე მეტი არა ჰყავთ მანჯურიაში, მაგრამ მარშალ ოიამას დიდი მაშველი ჯარი გაეგზავნა იაპონიიდან, ასე რომ ეხლაც ვერავინ იტყვის ზეჯითად, საკმაო ჯარი ჰყავს გენ. კუროპატკინს, თუ არა. ამას გარდა რუსებს სხვა ჯარიც ჰყავთ შორეულ აღმოსავლეთში:

ბ. ვლადივოსტოკის რაზმი—უფროსად გენ. ლინევიჩია. აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მეორე დივიზია—გენ.-მ. ანისიმოვი და აღმოს.-ციმბირის მსროლელთა მე-8 დივიზია—გენ.-მ. არტამანოვი. ამ რაზმს ერთი ბრიგადა და ერთი დივიზიონი არტილერიაც ჰყავს. ცხენოსანი ჯარი-კი, რამდენადაც ვიცით, გენ. ლინევიჩს მხოლოდ ზაბაიკალის ყაზახთა ერთი პოლკი და ამურის ყაზახთა ერთი დივიზიონი ჰყავს. ამ ჯარის გარდა, გენ. ლინევიჩს ციხის დამცველი ჯარიც ჰყავს, სახელდობ: ნიკოლაევსკის ქვეითა პოლკი, ვლადივოსტოკის არტილერიის პოლკი, ორი საარტილერიო როტა (ნიკოლაევსკსა და პოსიეტში), ერთი მენაღმე როტა (პოსიეტში) და ერთი საპიორის ბატალიონი. სულ უსურიის ოლქის დასაცველად გენ. ლინევიჩს 29 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 9 სოტნა ყაზახი, 4 არტილერიის როტა, ანუ 39 ათასი კაცი ჰყავს და 62 საველე ზარბაზანი აქვს.

გ. კვანტუნის რაზმი—გენ.-ლეიტ. სტესელი. ეს რაზმი პორტ-არტურს იცავს, გენ. სტესელს სულ 32 ათასი კაცი ჰყავდა წინად.

დ. რკინის გზის ჯარი. ბაიკალის ტბის იქით, პრიამურის საგენერალ-გუბერნატოროსა და ჩრდილოეთ მანჯურიაში რუსებს მანჯურიისა და უსურიის რკინის გზების დასაცველადაც ჰყავთ ჯარი. სულ ამ ადგილებში რუსებს 32 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 70 ცხენოსანი სოტნა და 36 საინჟინერო როტა, ანუ 55 ათასი კაცი ეყოლებათ და 24 ზარბაზანი ექნებათ.

თუ სულ ერთად ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ გენ. კუროპატკინს ნოემბერში 387 ბატალიონი ქვეითა ჯარი, 261 ესკადრონი ანუ სოტნა კავალერია, 26 როტა ციხის არტილერია და 91 როტა საინჟინრო ჯარი (საპიორები და სხვა) ეყოლება და 1,406 საველე ზარბაზანი ექნება. ნოემბერში რუსის ჯარის რიცხვი 511 ათას კაცამდე ავა და თუ ქარვნის („ოპოხ") ჯარის-კაცებსაც მივუმატებთ, სულ მცირედ 530 ათასი სალდათი გამოვა. მაგრამ აქ სათადარიგო სალდათები არ გვიანგარიშნია. გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, რომ მანჯურიაში 20 ათასი სათადარიგო ჯარის-კაციც გაუგზავნიათ. ისიც რომ მივუმატოთ, გენ. კუროპატკინის ჯარის რიცხვი 531 ათას კაცამდე ავა (ქარვნის სალდათებით—550 ათასამდეც) ასე რომ რუსეთმა იაპონიის ჯარის წინააღმდეგ სულ 550 ათასი კაცი გაგზავნა შორეულ აღმოსავლეთს; ეჭვი არა მგონია, რომ ნამდვილად გენ. კუროპატკინის ჯარის რიცხვი 450 ათას კაცს აღემატებოდეს".

ბრძოლა ინსინტუნთან 14 ოქტომბერს. დეპეშებიდან ვიცით, რომ 14 ოქტომბერს გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ იაპონელების მარჯვენა ფრთის (გენ. კუროკის არმიის) რაზმმა ინსიტუნის ახლო ერთი გორა აიღო და ორი ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდო ხელში. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ბოლოს დროს მოსულ დეპეშებიდან სჩანს, რომ ეს ბრძოლა უფრო სერიოზული ყოფილა, ვიდრე წინად გვეგონა. რუსულ ოფიციალურ მოხსენებიდან ისე გამოდიოდა, თითქო რუსის მარცხენა ფრთაზე (იაპონელების მარჯვენა ფრთაზე) ჩვეულებრივი შეტაკება მოჰსვლოდეთ მოწინავე რაზმებს და რუსის რაზმს ინსინტუნისაკენ დაეხიოს. ჯარის ზარალიც არ იყო მოხსენებული, ამიტომ ყველას გვეგონა, ეს ისეთივე შეტაკება მოხდარა, როგორც თითქმის ყოველდღე ხდება მდ. შახეზე. იაპონელების ოფიციალურ მოხსენებიდან კი აშკარად სჩანს, რომ ეს შეტაკება კი არა, სერიოზული ბრძოლა ყოფილა.. რკინის გზიდან 20 ვერსტის მანძილზე ერთ რუსის პოლკს (პოლკოვნიკ ლიპოვაცის უფროსობით) მაგარი პოზიცია ეჭირა გენ. კუროკის არმიის მოწინავე რაზმების პირდაპირ. რუსებიცა და იაპონელებიც დიდ ტაქტიკურ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ გორას. ეს იქიდან სჩანს, რომ რუსებს ეს გორა ძლიერ გაუმაგრებიათ, ბევრი რედუტი აუშენებიათ, რედუტებს გარშემო მიწა დაუყრიათ და ღრმა თხრილი გაუვლიათ; სიმაგრეებიც თხრილებით შეუერთებიათ ერთმანეთთან; სიმაგრეების წინაც რამდენიმე რიგად სანგრები გაუმართავთ. ორ რედუტზე ზარბაზნიც ბლომად დაუწყვიათ. თუმცა ასეთი მაგარი პოზიცია იყო, იაპონელებმა მაინც იერიში მოიტანეს ამ გორაზე. დილის 7 საათიდან ზარბაზანი დაუშინეს და როცა კარგად მოამზადეს საიერიშოდ, ესე იგი როცა სიმაგრეები მიანგრ-მოანგრიეს, იერიშით წამოვიდნენ; გაიმართა მედგარი, გამწვავებული ბრძოლა; რუსებმა უკან დაიხიეს; იაპონელებმა პოზიცია დაიჭირეს და 2 ტყვიის მტყორცნელი ჩაიგდეს ხელში.

ეს ბრძოლა უფრო იმითაა საყურადღებო, რომ აქ პირველად იჩინა თავი გენ. კუროკის არმიამ. სექტემბრის გასულს კუროკის არმია რუსის აღმოსავლეთის რაზმს ებრძოდა ტუმინლინის უღელტეხილთან (იანტაის მაღაროებიდან 10 ვერსტის მანძილზე, აღმოსავლეთით), ეს უღელტეხილი შეინარჩუნა და რუსები უკუ აგდო; რუსის აღმოსავლეთის რაზმმა უკან დაიხია და ბანიუპუზასა და ხუანშანთან გამაგრდა. მას შემდეგ გენ. კუროკის არმიაზე აღარა გვესმოდა-რა. ეხლა კი იაპონელების მარჯვენა ფრთამ ისევ დაიწყო მოქმედება. ჩვენი კორესპონდენტი იწერებოდა: ხმა დადის, იაპონელების მარჯვენა არმია მთაში მიდისო. ბევრს ჰგონია, რომ იქნება უმთავრესი იერიში ამ არმიამ მოიტანოს რუსის ჯარზეო, მაგრამ ჩემის აზრით, ეს შეცდომა უნდა იყოს. მგონია, რომ გენ. კუროკი მხოლოდ დიდ დემონსტრაციას მოახდენს რუსის მარცხენა ფრთაზე პირდაპირ მთაში, ნამდვილად იერიშს კი გენ. ოკუსა და ნოძუს არმიები მდ. ხუნხესა და რკინის გზის პირად მოიტანენ რუსის ჯარზე. იქ უფრო ვაკე ადგილია და დიდ ჯარს იქ უფრო ემარჯვება მოქმედება...

ახალი ამბავი

✦ დღეს, 24 ოქტომბერს, აკურთხებენ **ტფილისის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზს.** კურთხევას დაესწრება დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

✦ როგორც შევიტყვეთ, სახელმწიფო ბანკის დახმარებით შორაპნის მაზრის სოფელ ბოსლევში დაარსდა **საკრედიტო** ამხანაგობა, რომელმაც წვრილის კრედიტით ხელი უნდა გაუმართოს სოფლის ხელ-მოკლე მეურნეთ.

✦ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა ფილოქსერიან ადგილებად გამოაცხადა ტფილისის გუბერნიაში სოფელ გომის ვენახები და აგრეთვე ვენახები შემდეგ კერძო კაცებისა: სოფ. ქვემო-ხანდაკში—თომა ბურვილაშვილისა, გაბო ფარსაგაშვილისა, ნინო ქათამაშვილისა და გიგო ქათამაშვილისა, სოფ. ძეგვში—დავით ჩოლოყაშვილისა და გიორგი იაშვილისა, სოფ. წილკანში—გრიგოლ და მათე ლაშაურებისა. საეჭვოდ ჩაითვალა დანარჩენი ვენახები სოფ. ქვემო ხანდაკისა, ძეგვისა და წილკნისა.

✦ ტფილისის **სამხედრო ბეგრის საკრებულოში** ჯერაც არ დამთავრებულა ყმაწვილ კაცთა ჯანმრთელობის მხრივ შემოწმება. გუშინდლამდის გასინჯეს ის ყმაწვილი კაცნი, ვისაც მეორე და მესამე ხარისხის შეღავათი ეძლევათ. ამათგან ექიმებმა ჯანმრთელად იცნეს სულ 206 კაცი. საკრებულოში კენჭს ამოსაღებად არ გამოცხადდა სულ 105 კაცი, რომელთა შესახებაც პოლიციას უკვე ეცნობა. პირველ ნოემბერს ახლად მიღებულებს დააფიცებენ.

✦ 22 ოქტომბერს ჯანმრთელობისთვის მზრუნველმა კომისიამ განიხილა საკითხი **მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების** შესახებ. ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია. უმრავლესობას საჭიროდ მიაჩნდა ადგილის პატრონებთან მოლაპარაკება. თავმჯდომარემ განაცხადა, ტოტის ამოვსების წინააღმდეგი არავინ არ არის გარდა თავ. მუხრან-ბატონისა, მაგრამ როცა სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, კუნძულიდან აიღება სახერხავები და ხე-ტყის საწყობები, მაშინ ბუხრან ბატონიც დასთანხმდებაო. კრებამ საჭიროდ სცნო ამ საკითხის გამორკვევა როგორც სანიტარიის, ისე იურიდიულის და ტეხნიკის მხრივ და დაადგინა მცირე კომისიის ამორჩევა. მცირე კომისია უნდა მოელაპარაკოს ადგილის პატრონებს.

✦ ამას წინად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გუბერნატორის განკარგულებით, საგლეხო საქმეთა საკრებულოს ერთმა წევრმა რევიზია უყო **ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას.** რევიზორის მოხსენება საგუბერნიო გამგეობამ განიხილა სექტემბერში. ამ მოხსენების გამო დადგენილებანი საგუბერნიო გამგეობისა გუბერნატორმა დაამტკიცა, ამ დღეებში გაუგზავნა მოქალაქეთა გამგეობას და დაავალა, დაუყოვნებლივ შეუდგეს ყველა იმ ნაკლულევანების გასწორებას და თავიდან აცილებას, რომელიც აღნუსხავს რევიზორს. გუბერნატორი ამასთან, სხვათაშორის, სწერს: 1. საზოგადო ფული ამიერიდან აღარ უნდა ინახებოდეს მოქალაქეთა მოურავის სახლში; ამისთვის გამგეობაში უნდა დაიდგას რკინის ყუთი და ამ ყუთში უნდა შეინახონ ფული, ფასიანი ქაღალდები და საბუთები; კასაში უნდა იყოს არა უმეტეს 50 მანეთისა. უფრო დიდის თანხის გაჩერება ყუთში ერთ კვირაზე მეტ ხანს არ შეიძლება; ფული მოქალაქეთა გამგეობამ უნდა შეიტანოს შესანახად ამა თუ იმ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში; 2. ყოველ წელს, არა უგვიანეს 1 თებერვლისა, მოქალაქეთა მოურავმა კრებას უნდა წარუდგინოს სრული ანგარიში შემოსავალ-გასავლისა; გუბერნატორს ანგარიში 1 მარტამდე უნდა წარუდგინოს; 3. ყოველივე კანონიერი ღონისძიება უნდა იხმაროს მოქალაქეთა გამგეობამ, რომ ახლო მომავალში მოიკრიბოს ყველა გადასახადის ნედოიმკები; 4. რადგან კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რამდენ ხანს უნდა იმსახუროს გადასახადის ამკრებ მამასახლისის თანაშემწეებმა, ამიტომ რწმუნებულების კრებას შეუძლიან დაითხოვოს უსაქმური თანაშემწენი და მათ მაგიერ სხვანი ამოარჩიოს და სხვ.

✦ ჩვენ გვთხოვენ **ოზურგეთიდან** გამოვაცხადოთ შემდეგი: „ვისაც ჰსურს ჩაეწეროს ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრად, უნდა შემოიტანოს საწევრო ფული არა ნაკლებ ოცდა ათის მანეთისა ამა წლის 20 ნოემბრამდის. ვისაც ჰსურს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, იმას უნდა ჰქონდეს შემოტანილი ასი მანეთი. საწევრო ფული უნდა გაიგზავნოს დამაარსებელ კომიტეტის ხაზინადრის ვასილ სოფრომის ძის ხუნდაძის სახელზედ ქ. ოზურგეთს".

როგორც **პირიმით ხევსურეთიდან** გვატყობინებენ, გროზნოს ოლქიდან გადმოხვეწილ ქისტებს, რომელთა მეცუნ-ხევიდან გაულალავთ 50 სული მსხვილ-ფეხა საქონელი, სოფელ შატილთან „გუროს ქალაში" დახვედრიან ხევსურები შატილის მამასახლისის მეთაურობით და მოსვლიათ შეტაკება. ატეხილა თოფის სროლა და რამდენიმე კაცი ორსავე მხრიდან დაჭრილა კიდეც. ხევსურებს გაუდევნიათ ქისტები, რომელნიც ტყეში შეცვივნულან და მიმალულან. ქისტებს დარჩენიათ 14 სული საქონელი.

✦ **როგორც გვატყობინებენ, 21 ოქტომბერს ცხინვალის ნაწილის გამომძიებელი მკვდარი უნახავთ თავის სახლში.**

✦ ბაქო. 20 ოქტომბერს, მანევრების დროს, ვაგონებსა და ტუპიკს შუა მოჰყვა მესრე მიხეილ შაშკინი და მარჯვენა ფეხი და ტანი დაუშავდა. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ ქუთაისი. 22 ოქტომბერს, ღამის 1 საათზე, როდესაც მატარებელმა № 57, გაიარა მე-7 ვერსზე, ლიანდაგის დარაჯმა ნახა ლიანდაგზე ვიქტორ კოსოვი, რომელიც მატარებლიდან გადმოვარდნილიყო. დაშავებული ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ სუფსა. 21 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქონლის მატარებლის № 157 უფროსმა კონდუქტორმა განაცხადა, როცა მე-48 ვერსზე ხიდზე გამოვიარეთ, ვიღაც კაცი იწვა. ვნახეთ და აღმოჩნდა ბესარიონ ჩიგოგიძე, რომელზედაც მატარებელ გადაევლოთ.

✦ ფოილა. 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათსა და 30 წუთზე, როდესაც გზის ოსტატის მაგიერი ჩეხალოვი თავის სადგომში იჯდა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა თოფი ესროლა ფანჯრიდან და მოჰკლა. გამოძიება სწარმოებს.

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, სასწავლებლისათვის საჭირო მასალების შესაძენად მისცე 1,300 მან.

✦ ვერის ხიდის შეკეთება თავს იდვა ბელგიი უსახელო საზოგადოებამ, რომელმაც გადასცა ასლანოვს 7,500 მან. თუ ის უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მოასწრებს ხიდის გაკეთებას. საზოგადოების წარმომადგენელი ამ ამბავს ატყობინებს ქალაქის გამგეობას და სთხოვს, ხიდზე ადრე აინთო ხოლმე ფარნები, რადგან მოიჯარადრემ ღამითაც უნდა ამუშაოს მუშები, რომ ხიდის შეკეთება დროზე მოასწროსო.

✦ 20 ოქტომბერს, ღამე, გაჰქურდეს სურფ-კარაპეტის ქუჩაზედ, ახნაზაროვის სახლებში მოთავსებული მე-4 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის კამერა. ქურდები სადგომში ასულან ეზოდან, კამერა გაუღიათ და შემდეგ მისდგომიან რკინის ყუთის მტვრევას, გაუტეხიათ იგი და წაუღიათ ფულად 500 მან. და ნივთები, 2000 მან. ეჭვი აქვთ მებუხრეებზე, რომელნიც ამ სახლში ბუხრებს აკეთებდნენ ეს რამდენიმე დღეა.

✦ თიანეთის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ამ თვის მეორე ნახევარში: 1. სოფ. ახალსოფელ მათე დავითაშვილი ლამობდა თავისავე მეზობელ ქალის ნენე ყაზახაურაშვილის ქალის მოტაცებას, მაგრამ ქალს მიეშველა სოფ. შანკეტილას მცხოვრები ნიკოლოზ შაქარაშვილი და მოუვიდათ ჩხუბი, რომლის დროსაც დავითაშვილმა შაქარაშვილი სასიკვდილოდ დასჭრა რევოლვერით; 2. სოფ. ანალსოფლის მცხოვრებლებმა სანდრო და ალექსა ნიბლოშვილებმა და ლექსო რიგაშვილმა ჩხუბის დროს კეტებით სასიკვდილოდ დასჭრეს დიმიტრი ხუზმიშვილი; 3. სოფ. ნაკარეულთან ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა თოფით მოჰკლეს სოფ. ბახურტა მცხოვრები ხვთისო აფთარაული.

✦ როგორც შულავრიდან გვატყობინებენ, სოფ. კასილუს მცხოვრები მილიციის პრაპორშჩიკი ასტანალა-დაშტამოულ-ალა-ოღლი-ყაირიმოვი, რომელიც სისხლის სამართალში იყო მიცემული და უმაღლესად ეპატია დანაშაულობანი, რადგან ორბელიანის ცხენოსან ბრიგადაში ჩაირიცხა, 20 ოქტომბერს ვიღაც ბოროტ-მოქმედმა ფანჯრიდან თოფით დასჭრა სასიკვდილოდ.

✦ გორის მაზრის სოფელ თელათგორის მცხოვრებმა დიმიტრი მეხიკულმა 23 ოქტომბერს პოლიციაში განაცხადა, რომ 21 ოქტომბერს ჩემი 11 წლის შვილი ლუკა ქუჩაში გავიდა და სადღაც დაიკარგაო.

✦ ტფილისის ქალაქის სააუქციონო ზალაში სხვა-და-სხვა ნივთების საჯაროდ გაყიდვით 1904 წლის 1 იანვრიდან 20 ოქტომბრამდე შემოსულა 33,248 მან. 49 კაპ.

✦ 22 ოქტომბერს გუსტავ გედკეს მაღაზიის დახლიდან, გოლოვინის პროსპექტზე, ვიღაც ქურდს 100 მანათი მოუპარავს. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს გედკეს მსახურს გიორგი თევათელაშვილზე, რომელიც სადღაც გადაიმალა.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელისმოწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 264.** შინაარსი: „ნარო" (დასასრული),—შალვა შარაშიძისა; სურათები: იაპონიის მომქმედ ჯარის მთავარ-სარდალი მარშალი ოიამა, ბრძოლის შემდეგ დაზიანებული კრეისერი „გრომობოი", იაპონიის სამხედრო ფოსტა და კარიკატურები.

ფელეტონი

პატარა ამბები

ომი და გაზეთი 27 წლის წინად და ახლა.—გაზაფხულის მერცხლები.—ამ მერცხლების მტრები.—ქუთაისის სამეურნეო სკოლა.

ომი, დიდებული ომი, რომლის მსგავსი მრავალი საუკუნეა არ უნახავს კაცობრიობას და რომელიც არასოდეს არ ჩაეტევა ჩემს „პატარა ამბებში". ამიტომ თუმცა დიდი სურვილი მაქვს ვილაპარაკო და ბევრიც ვილაპარაკო ომის შესახებ, მაგრამ იძულებული ვარ ვილაპარაკო მხოლოდ ომის გამო.

ძნელია ყველაფერის იმის აწონა და დაფასება, რაც შედეგად მოჰყვება დღევანდელს ომს. ამისთვის გულთმისნობაა საჭირო, გულთმისნობაზე უფრო კიდევ სხვა რამ—მართალი სიტყვა, სურვილი მართალის თქმისა და მართლის მეტყველი ენა, და ჩვენში ხომ, როგორც მოგეხსენებათ, ერთიც, მეორეც და მესამეც ძალიან ძვირია...

დღევანდელი ომის მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაში გამოიხატა, რომ მან დააჩქარა ცხოვრების მიმდინარეობა! რაც რამ ნაკლი იყო ცხოვრებაში, უფრო გამოაშკარავდა და უფრო მოგვიახლოვდა და ნათლად დავინახეთ ცხოვრების კარგი მხარეები. შორეულ აღმოსავლეთში ხდება დღევანდელი ომი, მაგრამ მისი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე მეტია და კიდევ მეტი ექნება, ვიდრე იყო ომი, რომელიც მოხდა ამ ოცდა შვიდი წლის წინად ახლობელ აღმოსავლეთში.

მოვიგონებ ერთს საყურადღებო ამბავს იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა აქვს ომს ჩვენთვის ახლობელ საგანზე, გაზეთზე. 12 აპრილს 1877 წ. გამოცხადდა რუსეთის და ოსმალეთის უკანასკნელი ომი. ცხოვრება ამოძრავდა, საზოგადოებას მეტი სიცოცხლე დაეტყო, გაიღვიძა საზოგადოებრივმა ინტერესმა, ყველას გაეღვიძა ახალი ამბების წყურვილი, რაც ნიშანია კარჩაკეტილობის მოსპობისა, განცალკევებულის წევრების შეერთებისა, გასაზოგადოებრივობისა. და გაზეთმა „დროებამ", რომელიც მანამდის გამოდიოდა კვირაში სამჯერ, დაიწყო ყოველ დღე გამოსვლა. გაზეთის სარედაქციო წერილში ვკითხულობთ ამის შესახებ: „ისეთი დრო არის ახლა, როდესაც ყველა ქართველი მოუთმენლად მოელის თუ ბრძოლის ველიდან თუ სხვა ქვეყნებიდან ახალ, ცხელ-ცხელ ამბებს. ევროპაში ყველასათვის საყურადღებო პოლიტიკური მოძრაობაა; ჩვენს ცხვირის წინ, რუსეთსა და ოსმალეთს შუა, გაჩაღებული ბრძოლაა, ამ ბრძოლაში ჩვენი მიწის შვილებიც იღებენ მონაწილეობას. ეს პოლიტიკური მოძრაობა და ამ ბრძოლის კარგად ან ავად გათავება, უეჭველია ჩვენც შეგვეხება... ამით აიხსნება ის ცხოველი ინტერესი და ის მოუთმენელი ცნობის მოყვარეობა, რომელიც აღძრულია ამ ჟამად ჩვენს საზოგადოებაში. და აი, ამ კანონიერის ცნობის მოყვარეობის და ინტერესის დასაკმაყოფილებლად ამ ივნისის პირველ რიცხვიდან ჩვენ ვიწყებთ გაზეთის ყოველ დღე გამოცემას და ამნაირად გამოვცემთ სანამ ომი არ გათავდებაო".

რასაკვირველია, გაზეთისადმი ინტერესის გაღვიძებას მოჰყვა მკითხველთა რიცხვის მომატებაც, რომელიც სრულებით არ შემცირდა ომის შემდეგ. გათავდა ომი და იმის მაგიერ, რომ რედაქცია ისევ ძველს გზას დაბრუნებოდა, ე. ი. გამოეცა გაზეთი კვირაში სამჯერ,—განაგრძო გაზეთის ყოველ დღე ბეჭდვა და ამასთანვე იმის მეცადინეობას შეუდგა, რომ როგორმე გაეფართოვებინა გაზეთის ფორმატი. 1879 წ. დამდეგს რედაქცია მწუხარებით აუწყებს მკითხველებს: „დიდი, ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, რომ წლევანდელი წლიდან ეს ჩვენი პატარა გაზეთი ცოტაც არის მაინც გაგვედიდებინა და უფრო მომეტებული საკითხავი მასალა მიგვეცა მკითხველებისათვის", მაგრამ წელს ვერ მოვახერხეთ ესო. მხოლოდ ერთის წლის შემდეგ შეასრულა რედაქციამ თავისი განზრახვა და 1880 წ. პირველ იანვრიდან „დროება" იბეჭდებოდა გაფართოვებულის ფორმატით.

ყველაფერი ეს ასეც უნდა მომხდარიყო. როგორც ზევით ვსთქვი, ომს თვისება ისაა, რომ აჩქარებს ცხოვრების პროცესს (მე მაქვს სახეში ზოგიერთი ომი და არა საზოგადოდ ყველა ომი) ომმა მიიზიდა ქართველი საზოგადოება გაზეთისაკენ; გაზეთს ჰკითხულობდნენ იმიტომ, რომ შიგ ომის ამბებს ეძებდნენ, მაგრამ დაინახეს, რომ გაზეთში ომის ამბების გარდა სხვა ამბებიც იბეჭდება, ომის გარდა სხვა რამეებიც არის საინტერესო. ქართველ მკითხველს ინტერესი გაუფართოვდა, ცნობის მოყვარეობა მოემატა და თუმცა ომი გათავდა, გაზეთის კითხვა მაინც არ მიატოვა, პირიქით, მეტი და მეტი შინაარსი მოსთხოვა გაზეთს.

ასეთსავე მოვლენას ვხედავთ ჩვენ დღესაც, ხოლო ეს მოვლენა დღეს უფრო ფართოა და დიდი, რადგან მე-70 წლებთან შედარებით ჩვენი ცხოვრება ძლიერ წაიწია წინ. დღესაც მოხდა იშვიათი მოვლენა და ომმა დაბადა მკითხველი. ჩვენს გაზეთში ხშირად იბეჭდება სხვა-და-სხვა ადგილებიდან წერილები იმის შესახებ, თუ როგორის გაფაციცებით ადევნებენ ჩვენში ყველანი თვალ-ყურს ომის ამბებს და როგორ გატაცებით ჰკითხულობენ გაზეთს. მიყრუებულ და გადაკარგულ ადგილებშიაც კი მოუთმენლად მოელიან გაზეთს. ერთს ხონელს მაკიტანს ვიცნობ, რომელსაც თავის დღეში თავისი ხარჩოს მეტი არაფერი აინტერესებდა, მაგრამ დღეს თვალები სულ კარებისაკენ უჭირავს, როდის მომიტანენ გაზეთსო; და თუმცა მთელი ნახევარი დღე უნდება, რომ მარტო ომის ამბები წაიკითხოს გაზეთში, მაგრამ მაინც ყველაფერს ივიწყებს „იაპონიის ამბებისათვის", ასე წარმოიდგინეთ, თავის სარჩოსაც-კი, რომლის ერთის სუნით თვრებოდა წინად.

ომის გამო წელს ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთა რიცხვი ავიდა 6600-მდე და, უეჭველია, ეს რიცხვი კიდევ მოიმატებს. ხელისმომწერთა რიცხვის მომატებას მოჰყვა მეტი საკითხავის მასალის საჭიროებაც. ამის შედეგი იყო გაზეთის ფორმატის გადიდება.

ხოლო სრულებით საეჭვო არ არის, რომ მკითხველებს რიცხვი არ შემცირდება ომის გათავების შემდეგ. არა, როგორც ამ 27 წლის წინად, ქართველი მკითხველის რიცხვი კიდევ მოიმატებს და იგი უფრო შეგნებულად მოეკიდება ქართულს გაზეთს. ომი შეაყვარებს ქართველს გაზეთს, შეაჩვევს კითხვას და ქართული გაზეთების მოვალეობაა, უკეთესი და ღირსეული საზრდო მიაწოდონ მკითხველებს. იშვიათი, მეტად სასიხარულო მოვლენაა, რომ ქართული გაზეთის მკითხველის რიცხვი 7000-მდე ადის, და უნდა გამოვიყენოთ ეს მოვლენა, მკითხველი მოვიდა, საკითხავი ჩვენ უნდა მივცეთ მას!

* *

ომი ახლად დაწყებული იყო, როდესაც ვამბობდი: „კარგია წყნარად, მშვიდობიანად სიარული, მაგრამ რა ვქნათ, როცა ადამიანი ისეა შექმნილი, რომ თუ ფეხი არ წაიტეხა, ისე სიარულს ვერ ისწავლის-მეთქი". რუსული ანდაზის სიტყვით, ვიდრე მეხი არ გავარდება, პირჯვარს არ დაიწერს გლეხიო. ამ შემთხვევაში ყველა გლეხია...

ასეა თუ ისე, რუსეთის გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ცხოვრების განახლების ხანის მოახლოვებაზე, იმდენად მოახლოვებულიაო, რომ მისი ხმა ყველას გარკვევით ესმის, გარდა ერთის გრინგმუტისა. ვინ იცის, შეიძლება ამასაც კარგად ესმოდეს, მაგრამ ძალად თავს იტყუებს, კარაპეტასავით ძაღლს იგონებს, მძინავს, ცუდს სიზმრებს ვხედავ, თორემ ნამდვილად ყველაფერი ისეა, როგორც იყოო. საბრალო [illegible]

პრესსა

„მოსკოვსკია ვედომოსტი“ ხან „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა“ ზის და ცრემლებს აფრქვევს—რა დროს მოვესწარით, რა გვესმის? წინად გადაკვრით თქმასაც ვერ ბედავდნენ, დღეს საჯაროთ ხმა მაღლა გაიძახიან; ხან კიდევ მრისხანებს და მძვინვარებს. ტირილი უფრო იშვიათია, მრისხანება და მძვინვარება უფრო ხშირი, და ეს სასიკეთო ნიშანი არ უნდა იყოს.

„უკანასკნელ ორის თვისგანმავლობაში,—სწერს გაზეთი (№ 289),—რადიკალური პრესსა ეხება და ემუქრის წოდების ძირითად ინტერესებს—თხოულობს უწოდებრივო ერობას, თანასწორობას აღზრდაში, არსებულ საადმინისტრაციო მართველობის მოსპობას და სხვა ღონისძიებათა მთელ წყებას, რომელიც პირდაპირ არღვევს წოდების საფუძველს... მწერლობამ იერიში მიიტანა სახელმწიფო წესწყობილების მთავარ ბოძებზე და თავის პროგრამას იმით აგვირგვინებს, რომ თხოულობს ახალ სახელმწიფო წესწყობილებას, რომელზედაც წინად ჩურჩულით თუ ლაპარაკობდნენ. მიაქციეთ ყურადღება მოსკოველ გაზეთის ზემოთ ხაზგასმულ სიტყვებს. ახალი სახელმწიფო წესწყობილება რომ სძულდეს განთქმულ რეაქციას, ამით ვერავის გააკვირვებს, მაგრამ ვინმე რომ სერიოზულად წინაღმდეგი იყოს თანასწორობისა აღზრდის საქმეში, ისიც მეოცე საუკუნეში, მართლა რომ განსაცვიფრებელია, თუმცა ისიც კია, რომ ასეთ წყაროდან რაც არ უნდა იყოს, არაფერი არ უნდა ვიოცოთ.

გარეთ რუსეთს მეგობარი არა ჰყავს, მტრების რკალი უფრო და უფრო ვიწროვდება, სიხარბითა და შურით უცქერიან ჩვენ სივრცესა და სიმდიდრეს. შინაგანმა მტრებმა (ომიანობის ნამდვილი მიზეზი ესენი არიან) თავი ისე მაღლა აიღეს, როგორც არასოდეს: ესენი უნდა მოვსპოთ და საზოგადოება თავის ადგილს დავაბრუნოთ... საზოგადოება არ უნდა გადავიდეს იმ საზღვარს, რომელიც დაუდვია ისტორიულ სიძველეს, ჩვეულებას, სარწმუნოებას და ტახტისადმი ერთგულებას, ე. ი. იმ ერთად-ერთ ფაქტორებს, რომლითაც შეუძლიან რუსეთს განაგრძოს ცხოვრება.“

თუ „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს მხოლოდ ამ „ისტორიულ სიძველის და ჩვეულების“ იმედი აქვს, რომ თავისი გაიტანოს, მის მოწინააღმდეგეთ დიდი შიში არ უნდა ჰქონდეთ დამარცხებისა.

კახურ მევენახეთა საზოგადოების საგანგებო კრება თელავში.

20 ოქტომბერს საზოგადოების ბიუროს დარბაზში შეიკრიბა 29 წევრი და დაიწყო კრება. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იქმნა თავ. ალექსანდრე ჯავახიშვილი. კრების განსახილველი შემდეგი საგანი იყო: 1. ახალ განყოფილებათა დაარსება; 2. წესდების მე-4 და მე-5 მუხლების განხილვა და 3. ორის წევრის ამორჩევა სარევიზიო კომისიის შესავსებად. კრება პირველ საკითხის განხილვას შეუდგა.

გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ს. რ. გარსევანიშვილმა განაცხადა: 42 წევრმა შემოიტანა განცხადება, რომლითაც თხოულობდნენ საგანგებო კრების დანიშვნას აღნიშნულ საკითხების განსახილველად. ჩვენ კრება 23 სექტემბრისათვის დავნიშნეთ, მაგრამ არ შედგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ამიტომ დღეისათვის დაინიშნა. გამგეობამ არ იცის, პირველ საკითხის შესახებ რა საბუთებით ხელმძღვანელობდნენ ის წევრნი, რომელთაც ეს უწერიათ განცხადებაზე. თვით გამგეობას ჰქონდა მსჯელობა ახალ განყოფილებათა დაარსების შესახებ და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება (წაკითხულ იქმნა გამგეობის დადგენილება, რომელშიაც დასახელებულია რამდენიმე ქალაქი ახალ განყოფილების გასახსნელად, სხვათა შორის, ქ. სამარა, ხოლო საკითხის საბოლოოებით გადაწყვეტა გადადებულია მორიგ კრების დროისათვის, რადგან საჭირო ცნობები იმ დროისათვის იქმნება შეკრებილი).

აქამდის ლაპარაკობდნენ ქართულად, მერე რუსულზე გადავიდნენ.

ამ საგანმა მცირეოდენი კამათი გამოიწვია. თავ. ნ. აბაშიძემ განაცხადა, საქმის გადასაწყვეტად საჭიროა ვიცოდეთ გასასყიდ ღვინის რაოდენობაო. ამაზე გამგეობის თავმჯდომარემ მიუგო, რომ საკმაო არ არის ვიცოდეთ გასასყიდ ღვინის რაოდენობა; საჭიროა ვიცოდეთ წლევანდელ მოსავლის რაოდენობა და ამასთან იმ ღვინის რაოდენობაც, რომელიც შემოტანილი იქნება საზოგადოების სარდაფში.

თავ. მ. ჯ. ჩოლოყაშვილი. არ ვიცი, რისთვის უნდა გადავდოთ კრება, როგორც გამგეობა თხოულობს. როცა ჩვენ ვწერდით განცხადებას, სახეში გვქონდა, რომ 1 ოქტომბრისათვის გასასყიდი ღვინო იქნებოდა 90 ათასი ვედრო. თუ გამგეობას ამის შესახებ ოქმი აქვს, გამოგვიცხადოს, რამდენი ღვინო იყო ამ დროისათვის დარჩენილი და რაც შეეხება ახალ მოსავალს, იგი დაახლოვებით იქმნება 180 ათასი ვედრო. ეს ცნობები კი სრულიად საკმარისია, ვიქონიოთ მსჯელობა ახალ განყოფილებათა დაარსების შესახებ.

გამ. თავმჯდომარე. 1 ოქტომბრისათვის დარჩენილი იყო დაახლოვებით 60 ათასი ვედრო და არა 90 ათასი, როგორც ეგონათ ზოგიერთებს. გამგეობა რომ თხოულობს ამ საკითხის გადადებას, სახეში ისა აქვს, რომ წელიწადში იყიდება 75 ათასი ვედრო, საჭიროა წლის ბოლოს 25 ათასი ვედრო იყოს, რომ მეორე წლის პირველ თვეებში ისევ ძველი ღვინო ვაძლიოთ მომხმარებლებს, საჭიროა წელიწადში 5 ათასი ვედრო დავაძველოთ, ყველა ამის შესრულებაში 4 ათას ვედროს შეიშრობს, დაიკლებს, გამოდის, ჩვენთვის საჭიროა 109 ათასი ვედრო, რომლიდანაც დაახლოვებითი გვქონდა 1 ოქტომბერს 60 ათასი ვედრო. უნდა მიემატოს ამას კიდევ 50 ათასი. არ ვიცით, აწინდელი მოსავალი 50, 70, თუ 100 ათასი ვედრო იქნება. სანამ გამგეობა ცნობებს არ შეჰკრებს, მანამ მის რაოდენობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამიტომ ვითხოვ ამ საკითხის განხილვის გადადებას.

თავ. ნ. აბაშიძე. საკვირველია, გამგეობას რაც ხელში აქვს, იმის რაოდენობის ნამდვილი ცნობაც არა აქვს. დაახლოვებით 60 ათასი ვედროაო, ამბობს; როგორ შეჰკრებს ის ნამდვილ ცნობებს ახალ მოსავლის შესახებ?

გამ. თავმჯდომარე. მე იმიტომ ვიხმარე სიტყვა დაახლოვებით, რომ ვაჭრობის საქმის ბუნება ასეთია, რაც დღეს არის გასასყიდი, შეიძლება ხვალ აღარ იყოს. აგერ ერთი საათიც არ არის, რაც შევიტყე, რომ თავ. არჩილ ჭავჭავაძეს 60 საპალნე გაუყიდნია, რაც შეადგენს 2,880 ვედროს. მეკი ეს ღვინო 60 ათასში მქონდა ჩათვლილი.

მცირეოდენის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: საკითხი საკმაოდ გამორკვეულია და ორ სიტყვას დავუმატებ მხოლოდ, მიკვირს, გამგეობამ რად შემოიტანა ეს საკითხი კრებაზედ, როდესაც უკვე წინანდელ კრებისაგან გადაწყვეტილია: „გამგეობას აძლევს სრულს ნებას კრება, გახსნას განყოფილებანი, სადაც საჭიროდ დაინახავს და დაკეტოს, თუ ამას მოითხოვს სარგებლობა საზოგადოებისა.“ სანამ ეს გადაწყვეტილება გაუქმებული არ იქნება, იგი ძალაშია. თუმცა ეს ასეა, მე მაინც კენჭს ვუყრი საკითხს: გადიდოს მორიგ კრებისათვის საკითხი ახალ განყოფილებათა გახსნის შესახებ, თუ არა? ვთხოვ იმ წევრთ, რომელთაც ჰსურთ, რომ ახლა იყოს გარჩეული ეს საკითხი, ფეხზე ადგნენ. არავინ არ ადგა. საკითხი გადაიდო შემდეგ კრებისათვის.

ნადიკვრელი.

თეატრი

ქუთაისი. ყველას მოეხსენება, თუ როგორ არიან ჩამორჩენილნი ჩვენი თეატრის მსახიობნი გონებრივ განვითარების მხრივ. არც გასაკვირველია: საუბედუროდ, ქართული სცენა იმდენად ღარიბია, რომ არ შეუძლიან მიიზიდოს სამოღვაწეოდ ნიჭითა და ცოდნით აღჭურვილნი. თითო-ოროლას გარდა, რომელნიც, სცენის სიყვარულით გატაცებულნი, არ გაურბიან სიღარიბეს, არტისტთა უმრავლესობას სულ მცირე სწავლა აქვს მიღებული. სხვაგან, მოგეხსენებათ, არსებობს სასწავლებლები, სადაც სასცენო ხელოვნებასთან ერთად მსახიობნი იძენენ საზოგადო განათლებასაც. ჩვენში კი ისეთი ბედნიერი დრო არ დამდგარა, რომ სასცენო ხელოვნების სასწავლებლები დავაარსოთ. ამ სავალალო გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია ჩვენს მსახიობს ვ. ს. მესხიშვილს და განუზრახავს, ზოგიერთ პირთა დახმარებით ლექციები უკითხოს მსახიობთ სხვა-და-სხვა საგანზე, რომელთაც სასცენო ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირი აქვთ. 25 ოქტომბრიდან საქმეს კიდეც შეუდგებიან და კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით—გაიმართება ლექციები თეატრის დარბაზში. თეატრისა და დრამის ისტორიის კითხვას კისრულობს ა. ა. გარსევანიშვილი; სიტყვიერებისა—ი. ი. პისეცკი; ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ფსიხოლოგიის—ექიმი ი. გ. გომართელი. თავის მხრივ ვ. ს. მესხიშვილს აუღია: სასცენო ხელოვნება, მსახიობის მოღვაწეობა; ცნება მიმიკა, პლასტიკა, გრიმი და სხვა. ლექციების კითხვა მოხდება საღამოობით 7-დან 8 საათამდის და 8 1/2 დან 9 1/2-მდის.

ვისურვებთ, ამ საქმეს სასურველი ნაყოფი გამოეღოს.

დიან ვალიანი

—

დღეს, 24 ოქტომბერს, ავლაბრის (არაქსიანის) თეატრში ქართველ-სომეხ სცენის-მოყვარენი წარმოადგენენ 5 მოქმედებიან მელოდრამას „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“-ს. ამ წარმოდგენაში სახალხო სექციის სცენის-მოყვარენიც იღებენ მონაწილეობას. წარმოდგენა დაიწყება საღამოს ცხრის ნახევარზე.

სასამართლო

თავდასხმა

19 ოქტომბერს თელავში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე სოფელ კურდღელაურის მცხოვრების ფირუზ ორკოდაშვილისა, ახალ გავაზისა—დათა კუნძოშვილისა და კისისხევისა—დავით ლაფაურისა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებათ. 30 აპრილს, ღამე, კურდღელაურის მცხოვრებ ლუკა ლუხუტაშვილის სახლის კარებს მისდგომოდნენ ვიღაც უცნობნი და თხოულობდნენ სახლში შეშვებას, მაგრამ ლუხუტაშვილს არ შეუშვია. მაშინ ავაზაკებს ფანჯრები გამოუმტვრევიათ და სახლში თოფების სროლა დაუწყიათ, რომლის დროსაც ტყვიით ბეჭში დაუჭრიათ ლუხუტაშვილის ცოლი მართა. გამოუღვიძნია ლუკას უძროს ძმას დათას და მოშველებია ძმასა და რძალს თოფით. დათას კარების ჭუჭრუტანაში გაუშვერია თოფის ლულა და ერთი ავაზაკი დაუჭრია. ახლა კი უკადრებით ავაზაკებს წასვლა. ვინაობა ავაზაკებისა ვერ გაიგეს, მხოლოდ პოლიციას შეუტყვია, რომ ერთი დაჭრილი კაცი, გვარად კუნძოშვილი, სოფელს გარედ მინდორში გდიაო. როცა გამოუკითხავთ, კუნძოშვილი გამოტეხილა, ჩვენ დავეცით თავს ლუხუტაშვილსაო. მეო, უთქვამს კუნძოშვილს, სირბილი ველარ შევიძელი და შევეხვეწე ამხანაგებს, ან წამიღეთ, ან მომკალით მეთქი, მაგრამ იმათ მინდორში მიმატოვესო. ტფილისის ოლქის სასამართლომ ამ საქმის გამო გამოჰკითხა 26 მოწმე. სასამართლომ გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა: დავით კუნძოშვილს და დავით ლაფაურს—ოთხ-ოთხი წლით, ხოლო ფირუზ ორკოდაშვილს 2 წლითა და 8 თვით. ამასთან სასამართლომ დაადგინა, კუნძოშვილის შესახებ განაჩენის სისრულეში მოყვანა შეჩერებულ იქნეს, რადგან გასარჩევია კიდევ ორი საქმე, რომლებითაც კუნძოშვილს ჰბრალდება ბლაღჩინ მღვდლის იმნაშვილის თავ დასხმა და გაძარცვა და ა. კირაკოზოვის გაქურდვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაკვრით უკვე ვწერდით, რომ მალე პეტერბურგში უნდა მოხდეს საერობო დაწესებულების კრებაო. როგორც ეხლა „რუს. ვედ.“ გადმოგვცემს, მოწვეულია სათათბიროდ 34 საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარე, რამდენიმე თავმჯდომარე სამაზრო საერობო გამგეობისა, საგუბერნიო გამგეობის ზოგიერთი წევრი და ხმოსნები. სულ კრებაში მონაწილეობას მიიღებს საერობო დაწესებულებათა 75 წარმომადგენელი.

◆ როგორც ეხლა გამოირკვა, უმაღლესის მანიფესტის ძალით შიდა რუსეთის გლეხობას ეპატია სულ 130 მილიონ მანეთის ნედოიმკა.

◆ 18 ოქტომბერს პეტერბურგში ცეცხლი წაჰკიდებია ერთ სახლს, სადაც ქორწილი ყოფილა. ამ სახლში სულ ღარიბ-ღატაკნი სცხოვრობდნენ თურმე. სახლი სულ ერთიან გადაბუგულა. ჯერ-ჯერობით 10 დამწვარ კაცის გვამი უპოვნიათ.

◆ ახალ მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკის განკარგულებით, როგორც „რუს. ვედომ.“ გადმოგვცემს, თავისუფლება მიუციათ ექიმ ნიკონოვისთვის. ეს ექიმი ხუთის წლით არხანგელსკში გაიგზავნა. ნიკონოვი სევასტოპოლის ქალაქის საავადმყოფოს უფროსს ექიმად იყო. ექიმების დაუკითხავად ამ საავადმყოფოში დაუნიშნავთ ახალი ზედამხედველი. ამის გამო საავადმყოფოს ექიმებს პროტესტი განუცხადებიათ. ეს იყო მიზეზი ნიკონოვის არხანგელსკში გადასახლებისა.

◆ 25 და 26 ოქტომბერს რიგაში სასამართლო პალატის სესსიამ უნდა განიხილოს ორი საყურადღებო საქმე. ბრალი ედება ვულფ ფრიდმანს, ალექსანდრე ზანდოვსკის, მიქელ ზოვიცკის, ედუარდ ზანდოვსკის და სხვებს. პირველი რიგის სპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სტუდენტია და ჰბრალდება უმაღლეს მთავრობის განკიცხვა. დანარჩენნი გლეხები არიან და აღკრძალულ თხზულებათა გავრცელება ჰბრალდებათ.

◆ გაზეთ „რუს“-ში დაბეჭდილია: „ერთი კაცი, რომელიც დასწრებია ქვემოდ-აწერილ ამბავს, გვატყობინებს შემდეგს: „დღეს, პირველ საათზე, ყაზანის ეკკლესიაში შეველ. ხალხი ბლომად დამხვდა იქ, მაგრამ ფორმაში არავინ არ იყო. ამავე დროს ნევის პროსპექტზე, ეკკლესიის წინ, თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ. საკურთხეველთან ვიდექ. მოულოდნელად ჩემს ახლო ვიღაც კაცმა ხელი სტაცა ახალგაზრდა ქალს (გარეგნობით უმაღლეს კურსების მოსწავლესა ჰგავნდა) და ძალით გარედ თრევა დაუწყო. ქალმა ხმა მაღლა შეჰკივლა, მაგრამ კაცმა, რომელიც მეეზოვე გამოდგა, ყურადღება არ მიაქცია. პირიქით, პირველ მეეზოვეს მეორეც მიეშველა და ასე შუა ეკკლესიაში დაუწყეს ქალს ძალით თრევა. როდესაც ქალმა სთხოვათ, გამიშვით, ნუ მიმათრევთო, ერთმა მეეზოვემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუშტი დაარტყა. ამ რიგად გაათრიეს ის ქალი. შემდეგ ხელი სტაცეს მეორეს, თმა გაკრეჭილ ქალს, მერე მესამეს, მეოთხეს და ასე თორმეტ სულამდე გაიყვანეს ძალით გარედ. ეკკლესიის კიბეზე პოლიციის ბოქაულმა განკარგულება მოახდინა, „ნურავის ნუ გაუშვებთო“. ყველანი მახლობელ სახლში წაიყვანეს. მეეზოვეს საყვედური ვუთხარ, ამიტომ მეც მტაცეს ხელი და წამათრიეს, თუმცა მალევე გამომიშვეს. როდესაც მოედანზე გამოველ, ეკკლესიის პირდაპირ გაჩერდა გრადონაჩალნიკის ეტლი. გრადონაჩალნიკი გადმოხტა ეტლიდან და ზრდილობიანად სთხოვა საზოგადოებას, დაშლილიყო. მე მივედი გრადონაჩალნიკთან და ვკითხე, რა მიზეზით სცემდნენ მეეზოვეები ეკკლესიაში ქალებს, რომელთაც არაფერი არ დაუშავებიათ მეთქი. გრადონაჩალნიკმა გვთხოვა მე და იქვე მყოფ რამდენიმე სტუდენტს წავსულიყავით დაპატიმრებულებთან. დაჭერილი ქალები უკვე მიეყვანათ პოლიციის ნაწილში. როგორც-კი შევედით, დაპატიმრებულებმა ერთხმად შესჩივლეს გრადონაჩალნიკს, მეეზოვეები გვცემდნენო. მე თვალი მოვკარი იმ ქალს, რომელსაც მეეზოვემ მუშტი დაარტყა; იქვე იდგა თითონ მეეზოვეც, რომელმაც გაპარვა დააპირა, მაგრამ აღარ გაუშვი. გრადონაჩალნიკმა ჰკითხა მეეზოვეს, სცემე თუ არა ქალსაო, მაგრამ იმან მიუგო: „НИКАКЪ НѢТЪ“-ო. გრადონაჩალნიკმა ჩააწერინა მეეზოვეს გვარი და გაანთავისუფლა დაპატიმრებულნი“.

საზოგადოების საყურადღებოთ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ხშირად მოგვხდება ხოლმე ძველ ჭეშმარიტების განმეორება, რომ ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა გონებრივი განვითარება და ცოდნის შეძენა და ეს ყველა შეიძლება მხოლოთ სკოლების და წიგნების შემწეობით.

ჩვენი სკოლების საქმე ისე უკუღმართათ მიდის, რომ მისგან ახლანდელ დროში ბევრს არას უნდა მოველოდეთ, ისე რომ ერთად-ერთი ხსნა ახალ წიგნების გამოცემით და მისი გავრცელებით უნდა იყოს და ამაზედ მინდა ორიოდ სიტყვის თქმა.

აქამდის ჩვენში ჯერ არაოდეს არა ყოფილა წიგნების გამოცემის და გავრცელების საქმე სანატრელ მდგომარეობაში, ახლა ხომ ეს საქმე, დროის შესაფერად, უფრო უხეიროდ არის დაყენებული. წიგნები ჩვენში იბეჭდება, თითქოს ბლომადაც, მაგრამ ხშირად ისეთი უხეირო შინაარსით და ენის მხრივ ისე დამახინჯებული, რომ ქართველ ენა ჰქონდეს, იჩივლებდა. არც გასაკვირველია. ჩვენში საქმის ერთგულობით, თუ ანგარიშით უფრო კერძო პირები ჰკიდებენ ხელს არა თუ წიგნების გამოცემას, რა შინაარსისაც უნდა იყოს, და მის გავრცელებას,—თითონაც გამოდიან სამწერლო ასპარეზზე, ადგენენ ყოველ გვარ წიგნებს, სამეცნიეროსაც-კი, ბეჭდავენ და თითონვე ავრცელებენ. რასაკვირველია, ერთი ადამიანისთვის ეს შეუძლებელი ხდება და მათი შრომა მრავალ ტანჯული გამოდის.

რაც შეეხება წიგნების გავრცელებას, ამაზე დიდი ხანია ბევრს ლაპარაკობენ. „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ ამ თოთხმეტი წლის წინათ ბევრი სხდომებიც მოახმარა, მაგრამ აქამდის არც ეს საქმე არის ხეირიანად დაყენებული და აქამდის მიდის საქმე, რომ ხშირად წიგნს აწერია ათი შაური, მაგრამ ჰყიდიან ორ შაურათ და ზოგჯერ შაურათაც და ამით წიგნების გამყიდველები ამცირებენ მწერლობას. „რა ვქნათ, წიგნს ხომ არ დავალპობთო“, გაიძახიან ისინი.

სწორეთ ამ გარემოებამ გამოიწვია წიგნების გამოცემისთვის და გავრცელებისთვის პატარა ამხანაგობა „სხივი“. საერთო მუშაობით, ერთმანერთის ხელის შეწყობით ყოველთვის უფრო ბევრი საქმე გაკეთდება. დარწმუნებული ვართ, ამ ამხანაგობაში რომ ჩადგენ მწერლობასთან დაახლოვებულნი პირნი და სათითაოდ მოინდომონ ცოტა ხნობით მაინც მუშაობა, ჩვენი მწიგნობრობის საქმე უფრო ნაყოფიერი გამოვა. ამ ამხანაგობას მიზნათ აქვს მიაწოდოს ხალხს უფრო ამორჩევით ადვილათ გასაგები სამეცნიერო წიგნები და გამოჩენილი ბელეტრისტიული ნაწარმოები, როგორც უმაწვილებისთვის, ისეც მოზრდილთათვის. ამასთან ენის სიფაქიზესაც დაიცავს და ეცდება, რომ ყველას ჯიბისათვის წიგნების შეძენა ხელმისაწვდენელი იყოს. იმედია, ყველა, ვინც დააკვირდება ჩვენ აწინდელ მდგომარეობას, ხელს შეუწყობს ამ ამხანაგობას და უშველის „სხივს“, რომ მან ცოდნის სხივი მოჰფინოს ჩვენ დაბნელებულ ქვეყანას.

ამ ამხანაგობაში მონაწილეობის მიმღებთათვის არც მატერიალურათ მხრით იქნება ძალიან მძიმე, რადგან თითო პაის ფული მხოლოდ ათი მანეთია. ვისაც სურთ ამ ამხანაგობაში დაწვრილებით პირობების შეტყობა, შეუძლია მიმართოს: ეკ. მესხს, ალ. სარაჯიშვილს, ნიკ. ავალიშვილს და დროებით ხაზინადარს ქ-ნ სალ. მაღალაშვილს. ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს ვთხოვთ „ჯეჯილი“-ს რედაქციას მიჰმართონ.

ანასტასია წერეთლისა.

წერილები

ბარის ოსეთი. 28 სექტემბერს სოფ. სალბეგათში მცხოვრებს ზარაბი სიდაყევს მოჰპარეს ხარები. ზარაბიმ გაიგო და გამოუდგა. ქურდებმა რამდენჯერმე მიაძახეს: „ნუ მოგვდევ, თორემ გესვრით“. ზარაბის გული იწვოდა, რადგან მისი მარჩენელი ორი ხარი მიჰყავდათ, და მისდევდა ქურდებს ყვირილით. ამდროს მოუბრუნდნენ და ესროლეს თოფები. ზარაბის ტყვია გულში მოხვდა და იქვე დაეცა უძრავად. სანებაში მცხოვრებს ივანა ხადიყოვის გასათხოვარი ქალი თავის ძმის დამბაჩას სწმენდდა. უცაბედად გავარდა დამბაჩა და ქალს ტყვია მუცელში მოხვდა. დაჭრილი კავკავში წაიყვანეს, ოთხი დღე იცოცხლა და გარდაიცვალა. სოფ. ბათაყოში მცხოვრებს ფიდაროვს მინდორში ცხენის ჯოგს ედგა. ღამე დაეცნენ ქურდები, მოჰკლეს თავით და ოცამდე ცხენიც გაირეკეს. სოფ. ოლგინსკელები მოზდოკში მიდიოდნენ. დახვდნენ ავაზაკები, ერთი ოსი მოჰკლეს და რვა ცხენი წაართვეს. ერთი ოლგინსკელი ოსი კავკავიდან შინ მოდიოდა. სოფ. ბაზორკინთან შეხვდნენ ავაზაკები, ოსი მოჰკლეს და ცხენი წაართვეს. კავკავში მცხოვრები ოსი თუშაევი საღამოთი კავკავს გარედ მინდორში წავიდა თავის მოსატანად. ქისტები დაუხვდნენ, წაართვეს ცხენი და საბრალო თავად მოჰკლეს.

ბარის ოსებში სიმინდის მტვრევა აგერ სამი კვირაა მეტია, დაიწყეს. ალაგ-ალაგ სიმინდი კარგად ვერ შემოვიდა, ზოგგანაც აიხალა და ტარო ველარ გაიკეთა უამინდობის გამო.

ქართველი ოსებში.

—

სამტრედია (იმერეთი). 16 ოქტომბერს აქაურ 2 კლასიან სამინისტრო საქალებო სკოლის სასარგებლოდ ამავე სკოლის მზრუნველის თაოსნობით გაიმართა საღამო. საღამომ კარგად ჩაიარა. საღამოდან ხარჯს გარდა წმინდა ფული დარჩა 80 მან. აქაურ მაზრის ბოქაულმა ბაზრობა დღეს შეიპყრო ორი კაცი, ფირცხალაიშვილი და ჩიჩუა, რომელთაც 4 1/2 გირვანქა ვერცხლის ზოდები აღმოაჩნდათ. ესენი იცნო ორპირის მცხოვრებმა ქალმა, რომელსაც ამას წინად თავს დასხმოდნენ და გაეძარცვათ. რადგან ბოქაულს ეჭვი დაებადა, შეიძლება გელათის მონასტრის გამძარცველნიც ესენი იყვნენო, დაჭერილნი ქუთაისის მაზრის უფროსს წარუდგინა. ეხლა, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბოქაულს ცნობა მოსვლია, რომ ფირცხალაიშვილი გელათის მონასტრის ბერებმა იცნესო. ამ ერთი კვირის წინად ღამის 10 1/2 საათზე, ვაჭრებს ჩომახიძეს და ფანცულაიას გაუტეხეს მაღაზია და წაიღეს 400 მან. ფული და 400 მანათის ოქროული: საათები, სამაჯურები და სხვა. ქურდებმა ცუდის ამინდით ისარგებლეს და მაშინ, როდესაც ფანცულაია ვახშმის საჭმელად წავიდა.

ანი

—

კოჯორი. ჩვენს კოჯორს წრეულს ერთი სასარგებლო დაწესებულება შეეძინა. 19 ოქტომბერს აკურთხეს მღ. ელიზბარიშვილის მეცადინეობით დაარსებული პირველ-დაწყებითი სკოლა. პირველ დღესვე სკოლაში მიღებულ იქმნა ორმოცამდე ბავშვი—ქართველი, რუსი, სომეხი და თათარი. მასწავლებლად მოწვეულია დედათა საეპარქიო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული ქ-ნი მ. ბუხრუკიძე.

დამსწრე.

...რსაბ თათქარიძესაც ხომ ისღა დარჩა სანუგეშოდ, რომ სიზმარში ხედავდა თავის [illegible]. გადაგვარებულ ადამიანს აწმყოში ნიადაგი არა აქვს, მომავალი ხომ სრულიად მისი წინააღმდეგია, ამიტომ სულ წარსულზე ოცნებობს, წარსულში უნდა მოიმაგროს [illegible], ხოლო ვინაიდგან წარსული წარსულია და კვდარი, ამისათვის ვისაც სიკვდილზე უნდა აგოს ცხოვრება, სიკვდილივე შთანთქავს.

* *

ვინ ჩამოსთვლის ამ ჩვენი ქვეყნის უკუღმართობას, რომლისაც ყველაფერი უკუღმართობად ქცეულა. ამას წინად ვამბობდი, ჩვენში ყველაფერი ლანდია მეთქი.

რუსის მწერლები ჩივიან ბიუროკრატიის ბატონობის შესახებ. რაღა უნდა ვსთქვათ ჩვენ საცოდავ პოლიციელების შესახებ, რომელთაც ასე აგვიწერს ერთი კორესპონდენტი: „ისე არიან დაცახცახებულნი ეს ქალაქის კეთილდღეობის მცველნი პოლიციელები, რომ კარგი შიშით დუქანში ვერ შესულა, [illegible] ხელს შეჭყურებენ, ან ეხლა დამიჭერენ, ან ეხლაო. აბა დაიარეთ მთელი ქალაქი, ქალაქის ქუჩები, თუ თვალით დაინახოთ პოლიციელები. მაშ სად არის 15 კაცი? სადაც მომუშავე ხალხი ტრიალებს, სოფლებიდან [illegible], იქ არიან პურის საშოვნელად და საქმეთ [illegible], თუნიანთ, მღებრიანთ და ზოგ [illegible] სარდაფებში. თუ ამ სარდაფებში სუფრა [illegible], პოლიციელები იქიდან ფეხს არ მოიცვლიან, თუნდ მთელი სოფელი დაიღუპოს.

ასეთი პოლიციელები მარტო [illegible] არ არიან. ეს ბევრს გამოუცდია ჩვენგანს პირადად. მაგრამ ყველაზე უწინარეს ამათთვის მოვა განსხვავებული ცხოვრება და თვით გრანგმუტის სიზმრები ვერ დაიხსნის მათ პასუხის გებისაგან.

* *

ქუთაისში არსებობს სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც იმყოფება ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოების გამგებლობაში, მაგრამ მხოლოდ სახელით, ვინაიდან ნამდვილი გამგე და პატრონი სკოლისა არის სკოლის უფროსი, რომელსაც ნიშნავს სამინისტრო და რომელიც რუსეთიდანაა გადმოსული და ჩვენი ქვეყნისა არც ესმის და არც კარგი. სკოლაში ყველაფერი ისე ხდება, როგორც ამ „ხაზინოსს“ სურს. [illegible], აკეთებს, არ აკეთებს რასმე, იგი ანგარიშს არ აძლევს საზოგადოებას. მას სათაკილოდ მიაჩნია, რომ ანგარიში გაუწიოს საზოგადოების წევრებს, ადგილობრივ მცხოვრებლებს.

სკოლის უფროსს მუდამ უთანხმოება აქვს მას წვრილებთან, შაგირდებსაც ისე უყურებს, როგორც დამონებულის ერის შვილებს, რომლებისათვის ყოველივე ცოდნა მეტი ბარგია. ამისათვის სკოლაში აშლილ-დარეულობაა, სკოლის საქმეები ცუდად მიდის..

იმედია, ამ წესსაც მოეღება ბოლო: ქუთაისის სამეურნეო სკოლაც ეღირსება განახლებულ ცხოვრებას.

სიტყვა

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
23 ოქტომბერი

გიბრალტარი, 22 ოქტომბერი („რეიტერი“). კრეისერი „ვიქტორიუსი“ გაიგზავნა სრუტეს სადარაჯოდ. მეზღვაურთ ნება მიეცათ ნაპირზედ გადასვლისა, მაგრამ მერე დაუყოვნებლივ გემებზე დაიბარეს. ინგლისის ოთხმა ჯავშნიანმა გემმა ნავთსადგურიდან დასავლეთისაკენ წასვლის ბრძანება მიიღო.

ტანჟერი, 22 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსების ესკადრა მდის 22 ოქტომბერს დილის ექვს საათზე. არ იციან, საით წავა ესკადრა.

პარიზი („რეიტერი“). ამას წინად უარსა ჰყოფდნენ იმ ამბავს, ვითომ იაპონიის გემი „იაშიმა“ ივნისში დალნისთან ნაღმს წასწყდომოდეს და დაღუპულიყოს. ეხლა ეს ამბავი მართლდება.

ჩიფუ, 22 ოქტომბერი („რეიტერი“). ჩინელმა, რომელიც გუშინ დალნიდან წამოსულა, სთქვა: ბევრმა დაჭრილმა იაპონელმა გაიარა დალნზედაო. ბრძოლის ველზე ახალი ჯარი გაიგზავნა. როგორც ისმის, ამ უკანასკნელ სამ თვეს მოკლულ და დაჭრილ იაპონელთა რიცხვი 40 ათასამდე ავიდა თურმე.

შანხაი, 22 ოქტომბერი („რეიტერი“). პორტ-არტურის შტურმი განუწყვეტელია. რუსები თავგამოდებით იცავენ ციხეს. იაპონელებმა დაიჭირეს იძიგუანშანთან ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი. რუსები ძალზე უშენენ ყუმბარებს, მაგრამ იაპონელები მაინც მაგრა დგანან. 20 ოქტომბერს აფეთქდა წამლის საწყობი და დაიქცა რუსების ერთი ფორტი. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ამბობენ, პორტ-არტურის ესკადრა ხელ-ახლა ეცდება ზღვაში გასვლას და იაპონელთა წრის გარღვევასაო.

ჩიფუ, 22 ოქტომბერი („რეიტერი“). დალნიდან საგანგებოდ გამოგზავნილმა კაცმა ამბავი მოიტანა, რომ 16-დან 20 ოქტომბრამდე მომხდარი ბრძოლა პორტ-არტურთან ყველა წინანდელ ბრძოლაზე უფრო ცხარე და მწვავე იყოო. იტცუშანთან ამოსწყდნენ იაპონელთა მთელი ბატალიონები, მაგრამ ახალმა ჯარმა მაინც წაართო რუსებს და დაიჭირა თხრილები. იტცუშანი ზედ დაჰყურებს ვეფხვის კუდის ნავთსადგურს. ერლუნშანისა და შანშუშანის შტურმშიაც გაიმარჯვეს იაპონელებმა. აქ ფიქრობენ, რომ იაპონელები გაზაფხულამდე აღარ ეცდებიან ციხის აღებას. მგონი იაპონელებმა სროლა შესწყვიტეს.

ლონდონი, 22 ოქტომბერი („რეიტერი“). იაპონიის ჯარში მყოფი კორესპონდენტი დაწვრილებით აღწერს პორტ-არტურთან აგვისტოში მომხდარ ბრძოლებს. კორესპონდენტის სიტყვით, იაპონელები ცხარე ბრძოლის შემდეგ იღებდნენ სიმაგრეებს მაგრამ ვერ ვერა სძლებდნენ, რუსებს ძალიან შველოდა ელექტრონის პროჟექტორები და ასაფეთქებელი ყუმბარები. რუსები პროჟექტორების სხივებით ყოველთვის გამოაჩენდნენ ხოლმე იაპონელებს. იაპონელთა ტყვიის მტყორცნელებს ცოტა სარგებლობა მოჰქონდა, რადგან რუსები თავიანთ მსწრაფლ მსროლელ ზარბაზნებით მალე ჩააჩუმებდნენ ხოლმე. რუსები ყველგან სიბნელეში იბრძოდნენ, იაპონელებს კი სინათლეში უხდებოდათ მოქმედება. სროლამ გასტანა 11 აგვისტოს გათენებამდე, რიდესაც რუსის ჯარი იაპონელებმა განდევნეს ფორტებიდან. მაგრამ ამავე ღამეს რუსებმა ყუმბარები დაუშინეს და მოწინააღმდეგე იძულებული გახდა წასულიყო. ამ რიგად უნაყოფოდ ჩაიარა იერიშმა, რომელიც შტურმის დასაწყისად უნდა გადაქცეულიყო. მაგრამ იაპონელებმა თავიანთის სიმამაცით საქმე მაინც გამოაჩინეს.

ტანჟერი, 22 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსის ფლოტმა უამინდობის გამო შესწყვიტა ნახშირის ტვირთვა. რუსის აფიცრები ამბობენ, „კამჩატკა“-მ პირველი ნიშანი მოგვცა, რომ ნაღმიანი გემები შემომეხვივნენო. მაშინ სხვა გემებმაც დაუშინეს ყუმბარები იმ გემებს, რომელნიც წინ მოსჩანდნენ. ამის და მიუხედავად, ნაპირზე „კამჩატკის“ არც ერთი აფიცერი არ დაუტოვებიათ როგორც დამნაშავე ან მოწმე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
23 ოქტომბერი

ჩიფუ, 22 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი ბენეტ ბერლეი იუწყება: 22 ოქტომბერს საღამოს ექვს საათამდე პორტ-არტურთან არა მომხდარა რა. რადგან იაპონელებმა მიკადოს დაბადების დღეს პორტ-არტური ვერ აიღეს, თავის გასამართლებლად ამბობენ, ჩვენ ვცდილობთ რუსის გემები ზღვაში გავიდნენ; შემდეგ საზამთროდ პორტ-არტურთან დავბინავდებით, ამასთან აქაურ ჯარის ნაწილს მანჯურიაში მომქმედ ჯარს მივაშველებთო. როგორც ნამდვილ ცნობებიდანა სჩანს, პორტ-არტური დიდ განსაცდელშია, მაგრამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჯერ არ ჩავარდნილა. რუსის მსწრაფლ მსროლელ ზარბაზნების მეოხებით, იაპონელებს წინ სვლა ძალიან უჭირთ.

გიბრალტარი, 22 ოქტომბერი. საღამოს 7½ საათი („დეილი ტელეგრაფი“). რუსის 14 გემი ჯერ ისევ ტანჟერშია. ინგლისის გემებს თვალყური უჭირავთ სრუტეზე. რუსის ათმა გემმა დილის ხუთ საათზე გაიარა და აღმოსავლეთისაკენ გაუდგა გზას.

ლონდონი, 23 ოქტომბერი. „დეილი მეილ“-ში დაბეჭდილია წერილი, რომელშიაც პორტ-არტურში მყოფ რუსის ნაღმოსნის კაპიტნის ინიციატივით აწერილია ციხის ალყის ამბები. პარაკვეთიდან აწერილია ციხის ალყის ამბებიის მეზღვაურნი, რომელნიც ჯავშნიან გემებიდან და კრეისერებიდან მეცახოვნეთ მიუმატეს, შეადგენენ მეზღვაურთა საერთო რიცხვის 6%-ს.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშები მთავარ-შტაბს: 22 ოქტომბერს: „20 ოქტომბრის ღამეს ჩვენმა რაზმმა, პორუჩიკის ვადეცკის უფროსობით, დაიჭირა სოფელი ხუანმიცანი, ბანიაპუზას აღმოსავლეთით, ორი ვერსის მანძილზე, და ჩაესაფრა იქ იაპონელებს, დილის ხუთ საათზე სოფელში შევიდა იაპონელთა ნახევარი როტა და ცხენის საკვებისთვის აქა-იქ გაიფანტა. ჩვენები შეტევით ეცნენ მტერს, ხუთი მოჰკლეს, ათი დასჭრეს. იაპონელები გალავანს და სახლებს ამოეფარნენ და იქიდან თოფების სროლა დაიწყეს. ამ დროს მათ მიეშველა ნახევარი როტა. ჩვენმა რაზმმა სროლით დაიხია უკან, სოფ. ტუნგაუსკენ, თან წამოიყვანა ერთი დაჭრილი და წამოიღო ორი გვამი მოკლულ იაპონელებისა, აგრეთვე თოფები და სხვა ნივთები. ჩვენ დაგვიჭრეს ოთხი სალდათი. 21 ოქტომბერს იაპონელები მედგრად ესროდნენ ზარბაზნებს ჩვენ რედუტს სოფელ შანლანძის წინ. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ჩვენის მორტირთა ბატარეის ერთმა ვზვოდმა ყუმბარები დაუშინა სოფელ იუდეილაძის, სახეპუს სამხრეთით, ერთი ვერსის მანძილზე. სამ ადგილას სოფელს ცეცხლი წაეკიდა. მტერმა იუდეილაძიდან დაიხია და ისეთ ადგილას მოჰყვა, სადაც ჩვენი მსწრაფლ მსროლელი ბატარეია უშენდა ყუმბარებს. ჩვენი ზარბაზნები ზანტად ესროდნენ მტრის ბატარეებს და სოფელ ლინშინპუს. იაპონელთა ბატარეებმა დაუშინეს სოფლებს ხანშენპუსა და კაულიტუნს. 21 ოქტომბრის ღამეს ჩვენმა რაზმმა განდევნა იაპონელები ერთ ადგილიდან, სადაც მათ თხრილი გაჰყავდათ. ჩვენ დაგვიჭრეს ორი სალდათი“. 23 ოქტომბერს: „22 ოქტომბრის ღამეს მოხსენებები შეტაკებების შესახებ არ მოსულა.“

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
22 ოქტომბერი

ვენა 21 ოქტომბერი („რეიტერი“). საბერძნეთის მეფე მოვიდა აქ.

შანხაი. 22 ოქტომბერი („რეიტერი“). დალაი-ლამა ბეკინს მოვიდა.

ინსბრუკი. 22 ოქტომბერი („ვოლფის საგ.“). იტალიურ იურიდიულ ფაკულტეტის გახსნის გამო შუა ღამისას ქუჩაში დემონსტრაციები მოახდინეს. საქმე სისხლის დვრამდე მივიდა. იტალიელებმა ორასზე მეტჯერ დესცალეს რევოლვერი. 6 კაცი დაიჭრა.

უსმანი. 22 ოქტომბერი. შუაღამისას მონოპოლიის არყის საწყობში სპირტით სავსე ცისტერნამ იფეთქა. ორი მუშა დაიღუპა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ორთქლის მანქანებისა და არყის გადასადები განყოფილება გადაარჩინეს.

კაზანი. კაზანის ღვთის მშობლის ხატის მომპარავნი დაატუსაღეს. გამოძიება დასრულდა. საქმეს ნოემბრის გასულს გაარჩევენ.

პეტერბურგი, 22 ოქტომბერი. ჟურნალ „ნოვა“-ს გამომცემელი მარქსი გარდაიცვალა.

23 ოქტომბერი

პეტერბურგი. „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: „იმიერ კასპიის ოლქში 11-დან 18 ოქტომბრამდე ხოლერით ავად გახდა 10 კაცი; ბაქოში 12-დან 19 ოქტომბრამდე ავად გახდა 14. მოკვდა 7 კაცი; სარატოვში 14-დან 19 ოქტომბრამდე ერთი გახდა ავად; ასტრახანსა და იმის მიდამოებში 13-დან 18 ოქტომბრამდე ავად გახდა 5 კაცი, მოკვდა ორი. სამარის გუბერნიაში ავად არავინ გამხდარა. თვით სამარაშიაც 11 ოქტომბრიდან აღარავინ გამხდარა ავად“.

ბერლინი, 22 ოქტომბერი („ვოლფი“). მალე გერმანია და შეერთებული შტატები დასდებენ ხელშეკრულობას სამედიატორო სასამართლოს შესახებ.

ინსბრუკი, 22 ოქტომბერი („კორ. ბ.“). დღეს რამდენჯერმე მოხდა არეულობანი. იტალიელთა ფაკულტეტის შენობაში დემონსტრანტებმა გაანადგურეს მოწყობილება. ქალაქში არეულობა ჯერაც არის.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 19 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,85
პარიზისაზე 100 ფრანკში	94,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,30
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	416
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	319½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	89½
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.
ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მთრანის ქუჩა, ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-...ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ...მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედ...როვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქ., სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ...ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, საზოგადოების წესდების მე-77 §-ის ძალით, მდგომარე წლის 27 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, საზოგადოების სადგომში, პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიყიდება შემდეგი მამულები, რომელიც ბანკს დარჩა:

1. **რიბაკოვი პ. ი.**: მიწის ნაჭერი, ზომით 145 ოთკუთხი საჟენი, ორ-სართულიანი სახლი სარდაფითა და ოთხის ორ-სართულიანის ფლიგელით. მე-10 ნაწილში, პირველ მადაკნების ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 15,377 მან. 83 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—1231 მან. 71 კაპ.

2. **ტერ-პოღოსოვი ო. დ.**: მიწა, ზომით 100 ოთხკ., საჟენი, სამ-სართულიანი სახლი სარდაფითა და მინაშენებით. 1 ნაწილში, უდელნის ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 21,039 მან 02 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—2457 მან. 99 კაპ.

ამ მამულების საჯარო გაჭრობა დაიწყება იმ თანხიდან, რომელსაც დაასახელებენ მსურველნი, ამასთან საჯარო გაჭრობის დამტკიცება დამოკიდებული იქნება საზოგადოების გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებისაგან.

ვისაც გაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, იმან საზოგადოების კასსაში უნდა შეიტანოს ბედ თითო ზემოდასახელებულ მამულის საგაჭროდ 500 მან.

თუ მეიდგული მოისურვებს, შეიძლება იმის სახელზე გადატანილ იქნას ამ მამულების თავნი ვალიც.

საჯარო გაჭრობის დაწვრილებითი პირობები და დასახელებულ მამულების შესახები ქაღალდები და საბუთები მსურველთ შეუძლიანთ გას ჯონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები საზოგადოების გამგეობაში ყოველ დღე, კვირ მეებს გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის საათამდე. (6—6.—4)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სევანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ**, გათ და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია**. ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვ მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—

ევალდ იანკოვს

კაფელის ფეჩი, ღ მელები.

სამზარეულოს პლიტ რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედ სათვის ფასები 25 მანეთიდ

გამართვა აგურის ფ ბისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 15
(30—28) **ტელეფონი № 281.**

СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬ
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдл
მიხაილოვის პრ., სახლი ვისა, **№ 92, საზაფხულო** ნიის ახლოს. (წ.—176—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მ რველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგ დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკრ კოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გად დებ სენით და სულით ავადმყოფებს ს კურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, ხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ ეგზავნება

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობ ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფო გრაფიულ სურათებიდან და ხელით ტებიდან.

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარ ტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.00 ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტ დით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვე საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვ.;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის დეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მი გად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად გრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ქნება ზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; ს გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვ ადადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის** **მართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—5

„**ცოდნა**“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა**. ფასი თით.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—41). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—სა“.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.